ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის

ოქმი N 13

22 ოქტომბერი 2021 წელი

ქ. ბაღდათი

12:00 საათი

2021 წლის 22 ოქტომბერს გაიმართა ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომა.

სხდომას ესწრებოდა საკრებულოს წევრები: შალვა მშვილდაძე, ირინა ტყეშელაშვილი, გია სახამბერიძე, ტარიელ ჩაკვეტაძე, გურამი ჩხეიძე, თემურ მინაძე, მურად ბურჯანაძე, სიმონ ჭოლოკავა, გაბრიელ ღიბრაძე, ზაზა ზივზივაძე, ფრიდონ მაჩიტაძე, რუსუდან გეწაძე, გრიგოლ ტაბეშაძე, თორნიკე გაჩეჩილაძე, დიომიდე კიკნაველიძე, მაია კბილაშვილი, მაკა მესხი.

სულ: 17 საკრებულოს წევრი.

სხდომას არ ესწრებოდა: ნოდარი გიორგიძე, გიორგი რობაქიძე, ვლადიმერ წიქორიძე, გვანცა გრძელიძე,, გურამი კიკნაველიძე შალვა დათუაძე, ირაკლი გოგსაძე, შადიმან გორგოძე, ალექსი ლომინაშვილი, თეონა ფახურიძე, მამუკა გორგოძე .

ასევე სხდომას ესწრებოდნენ:

მუნიციპალიტეტის მერიიდან:

მარეხი მშვენიერაძე - მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანმრთელობის სამსახურის უფოსი.

საკრებულოს აპარატის უფროსი- ნოდარ ებანოიძე.

ნათია ცისკაძე - საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში.

ირინე აბაიშვილი - საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი იურიდიულ და გენდერული თანასწორობის საკითხებში.

სხდომა მიმდინარეობდა პირდაპირი ეთერით, სოციალური ქსელის მეშვეობით.

რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 20-მა წევრმა.

სხდომა გახსნა და თავმჯდომარეობდა შალვა მშვილდაძე - საკრებულოს თავმჯდომარე,

სხდომის თავმჯდომარემ ბიუროს წევრებს გააცნო დღის წესრიგი.

.

დღის წესრიგი

1.„ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 23 ივლისის № 112 დადგენილებით დამტკიცებულ „ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტში“ ცვლილების შეტანის შესახებ

მომხს. თორნიკე გაჩეჩილაძე - საკრებულოს იურდიული და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარის მოადგილე.

2.ბაღდათის მუნიციპალიტეტის წითელხევის ადმინისტრაციულ ერთეულში (სოფელი წითელხევი), სოფელ წითელხევში 33-ე ქუჩისათვის სახელის მინიჭების შესახებ;

მომხს. თორნიკე გაჩეჩილაძე - საკრებულოს იურდიული და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარის მოადგილე.

3. ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯამრთელობის დაცვის სამსახურის ინფორმაცია: „ბაღდათის მუნიციპალიტეტის 2020-2024 წლების სოციალური პოლიტიკის დოკუმენტის დამტკიცების შესახებ", ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 27 დეკემბრის განკარგულების შესრულების მიმდინარეობის თაობაზე.

მომხს. მარეხი მშვენიერაძე - მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის სამსახურის უფროსი.

კენჭი უყარეს დღის წესრიგს:

დღის წესრიგი მიღებული იქნა ერთხმად.

მომხრე - 18 წინააღმდეგი - 0

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 18 საკრებულოს წევრმა

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: 1. „ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 23 ივლისის № 112 დადგენილებით დამტკიცებულ „ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტში" ცვლილების შეტანის შესახებ.

დადგენილების პროექტი სხდომაზე წარმოადგინა, თორნიკე გაჩეჩილაძემ-საკრებულოს იურდიული და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარის მოადგილემ.

საკრებულოს სხდომა ადგენს:

დამტკიცდეს საკრებულოს დადგენილება N17 დადგენილება:დ-67.67212951 თარიღი:22/10/2021 (დადგენილება თან ერთვის)

გადაწყვეტილება მიღებულია:

მომხრე- 18 წინააღმდეგი- 0

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 18 საკრებულოს წევრმა

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: 2. ბაღდათის მუნიციპალიტეტის წითელხევის ადმინისტრაციულ ერთეულში (სოფელი წითელხევი), სოფელ წითელხევში 33-ე ქუჩისათვის სახელის მინიჭების შესახებ.

განკარგულების პროექტი საკრებულოს წევრებს გააცნო: თორნიკე გაჩეჩილაძემ, რომელმაც აღნიშნა, რომ „თავის დროზე საკრებულომ მოიწონა აღნიშნული საკითხი, ამჟამად მიღებულია სამთავრობო კომისიის თანხმობა და საკრებულომ უნდა მიიღოს საბოლოო გადაწყვეტილება."

საკრებულოს სხდომამ გადაწყვიტა:

დამტკიცდეს საკრებულოს განკარგულება N42 64 განკარგულება:გ-67.67212951 თარიღი:22/10/2021 (განკარგულება თან ერთვის)

გადაწყვეტილება მიღებულია:

მომხრე-18 წინააღმდეგი- 0

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 18 საკრებულოს წევრმა

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: 3. ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯამრთელობის დაცვის სამსახურის ინფორმაცია: „ბაღდათის მუნიციპალიტეტის 2020-2024 წლების სოციალური პოლიტიკის დოკუმენტის დამტკიცების შესახებ“, ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 27 დეკემბრის განკარგულების შესრულების მიმდინარეობის თაობაზე.

ინფორმაცია განკარგულების შესრულების თაობაზე, სხდომაზე გააკეთა, მარეხი მშვენიერაძემ - მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის სამსახურის უფროსი.

აზრი გამოთქვეს: მაია კბილაშვილმა, შალვა მშვილდაძემ

კომისიაზე ინფორმაციის განხილვის შესახებ ისაუბრა ირინა ტყეშელაშვილმა- საკრებულოს კულტურის, განათლების, სპორტის, ჯანმრთელობის დაცვის, სოციალურ საკითხთა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარემ.

სხდომამ ცნობად მიიღო მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის სამსახურის უფროსის მარეხი მშვენიერაძის ინფორმაცია: „ბაღდათის მუნიციპალიტეტის 2020-2024 წლების სოციალური პოლიტიკის დოკუმენტის დამტკიცების შესახებ“, ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 27 დეკემბრის განკარგულების შესრულების მიმდინარეობის თაობაზე.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები ამოიწურა და სხდომა გამოცხადდა დახურულად.

სხდომის თავმჯდომარე: **შალვა მშვილდაძე**